ფასი ყველგან 10 კ.

სალამური

№ 1 იუმორისტული ალმანახი

ადრესი: Тифлисъ, Тип. „Шрома", Теофилу Ерастов. Болквадзе.

ლეჩხუმელი მელა.

კარგა ხანი იცანცალა
ვერვინ იცნო ჩვენი მელა,
იქაც იყო, აქაც იყო
მადლიერი ჰყავდა ყველა,
თუ სამ კუდში ხელი სტაცეს
ხან ეს ხან ის წაეშველა,
ამ ყოფაში კარგა სციცქნა
ბევრის ჯიბე შეათხელა.
მაგრამ ერთხელ როცა ბინდი,
დღის სინათლემ გადათელა,
ყური მოკრეს ამ დროს ვილამც
ბოქაულთან ჩაახველა.

უდარაჯეს უკან კარით
გამოცოცდა ნელა-ნელა,
ხელი სტაცეს დაიჭირეს
გამოვიდა ჩვენი მელა,
გაიწია გასაქცევათ
მაგრამ ვეღარ დაახელა,
ბოლოს „რეჩი“ წამოიწყო
და „ერთობა“ აღლეგრძელა,
ტკბილი ენით ისაუბრა
თვალი ცრემლმა აუჭრელა,
მაგრამ ხველა ხველათ დარჩა
ვერაფერმა ვერ უშველა...

ლ.

ამონაკვნესი.

კვლავ გაზაფხულდა, სიცოცხლის ძალამ
იფეთქა, გაქრა ზამთარი კრული,
აქ ია-ვარდი გადაიფურჩქნა,
იქ აზურმუხტდა ტყე დაბურული.

—

ჩუ! აგერ შაშვმაც ჩამოკრა ჩანგსა...
ლხინსა მიეცა ტურფა ბუნება,
მე კი კვლავ სევდა მეალერსება,
შავ ფიქრთა ზღვაში ცურავს გონება!

—

ბრძოლით დაქანცულს მოსვენება მსურს,
სად დავაყენო დაღლილი ნავი?—
ზეცა ცივი და ცარიელია,
ეს ქვეყანა კი—შხამ-საწამლავი!

—

აღთქმული მხარე მეტათ შორს მოჩანს,
იქ ვერ მივაწევ, ღონე-მიხდილი,
როგორც აჩრდილი, ყველგან, ყოველთვის
თან დამდევს უკან შავი სიკვდილი!

—

სიკვდილო! მოდი, გადამეხვიე,
ვერ შემაშინებს ეგ შენი ცელი:
სიკვდილს თან მოსდევს ისევ სიცოცხლე,
სიცოცხლეს—ბრძოლა შეუწყვეტელი!

ვ. რუხაძე.

ეშმაკის კალენდარი.

პირველიდან—შვიდამდე. (1—7).

მარტი, თვეებში ისეთივე გიჟი და ცვალებადია, როგორც რუსულ მწერლობაში პ. სტრუვე, ხოლო ქართულში ფ. გოგიჩაიშვილი. ხან გაგიცინებს გველურათ, როგორც კოწია თუმანიშვილი, ხან მრისხანებით შეიკრავს შუბლს, როგორც ნიკო თავდგირიძე; ხან გრილსა და საამო ნიავს მოჰფენს არე-მარეს, როგორც მეოცნებე მგოსანი გ. გვეზავა, ხან გადმოანთხევს ყოველგვარ თოვლ-ქყაპსა და სიბინძურეს, როგორც ცნობილი ხეობელი; ხან მოიპარავს მაისის მშვენიერებას, როგორც დრამაქურდი გუნია; ხან მწარე ცრემლით ატირდება, როგორც ყოფილი ფელეტონისტი „სიტყვა“. ხან იმედით აგიავსებს გულს, როგორც გოთუას დაპირება, ხან გაგიცრუებს ყოველივე იმედს, როგორც კიტა აბაშიძე!

დიახ, გიჟი და ცვალებადია მარტი რის გამო ჩვენი კალენდარიც უეჭველად განიცდის მის გავლენას.

სპარსეთის შახი, თუ ჯერაც გაპარული არ არის, უთუოდ მოჰკურცხლავს თავისი „საყვარელი“ სამშობლოდან.

ქართველი თავად-აზნაურები გადაათათრულებენ თავიანთ გვარებს; მაგალითად: ნიკორ-ფაშა-თავდგირ-ოღლი; ჯაფარ-ეფენდი-წულუკ-ოღლი; დოლხუზ-ზუბირ-აბდუშელ-ოღლი; ხუნხუზ-ბეგ-ნაკაშ-ოღლი; როსტომ-ბეგ-აბაშ-ოღლი და სხვ.

შანტაჟისტობა მიაღწევს უმაღლეს წერტილს თავისს განვითარებისას: მოიტაცებენ ეპისკოპოზებს, დეკანოზებს, არქიმანდრიტებს და უკიდურესს შემთხვევაში მღვდლებსაც, უმთავრესად ქართველებს.

რვიდან—ხუთმეტამდე (8—15)

ქუთაისის მასწავლებელთა შორის თავს იჩენს ერთი (შეიძლება მეტიც) ფრიად გამოცდილი ანტონ აზეფია.

თფილისში განიზრახავენ გამომცემელი ამხანაგობის დაარსებას, მაგრამ წესდების დასამტკიცებელ ხარჯის ფულს ვერ იშოვნიან.

ოზურგეთის ადმინისტრაცია წინადადებას მისცემს სამოსწავლო კომისიას: მომავალი გიმნაზიის შენობა ისეთი ააგონ, რომ საჭიროების დროს ციხეთაც ივარგოს.

თელავში ყაჩაღები ვილაცას მოკლავენ, რის გამო სიღნაღში სამიკიტნოებს დახურავენ.

ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე ნახევარ კანს შეაძრობენ სახელმწიფოები ერთი.მეორეს.

თფილისის საზოგადოებაში კარგათ ცნობილი „მაიკო“ საბავშვო გაზეთის გამოცემას დაიწყებს.

ეშმაკი.

---

*
* *

რა მოწყენაა!... ოხ, ღმერთო ჩემო!..
ირგვლივ სიჩუმე, ვით მკვდრის სამარე!!.
არც სატრფო ახლოს, არც მეგობარი
და არც ბუნება პირ-მომკინარე!..
გულს რაღაც ქეჯნის, სული კი ობლობს,
თითქოს იჩრდილვის თანაც იმედი...
აწმყო-წარსული ერთად ინასკვის,
თან კრთის და თრთოლავს სიცოცხლის ბედი.
ფეხებ ქვეშ თითქოს მიწა მერყევა,
ნაჩვევმა კერპმა სახე იცვალა...
სიცოცხლის ველზე ნეტარის წვეთი
მგონი ესაა გამოიცალა...
უჰ!.. შორს, შორს ჩემგან ფიქრო, შენ შავო!
არ დამანახო საწყენი სახე?..
იმედო, მოდი, მოიჭერ მალე,
გაჰკვეთე კლდენი, ღრე გადმოლახე!..

კვლავ ჩამწვდი გულში, გამაცისკროვნე,
ააფერადე კვლავ არე მარე!..
კვლავ ააჩქეფე, აათამაშე
სიცოცხლის ძარღვი, გრძნობის მდინარე...
რა მოწყენაა!.. ოხ, ღმერთო ჩემო!..
ირგვლივ სიჩუმე, ვით მკვდრის სამარე!..
არც სატრფო ახლოს, არც მეგობარი
და არც ბუნება პირ მომცინარე!..

ვ. მალაქიაშვილი.

ქუთათურ ბარიშნებს.

ბ. ეშმაკო! უმორჩილესათ გთხოვ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ მცირე წერილს თქვენს ალმანახში.

რამოდენიმე დღის წინათ ქუთ. ბულვარის გვერდით მივსეირნობდი. უცბათ რაღაც არაჩვეულებრივი ხმაურობა და თან ჩემი სახელის ხშირი ხსენება მომესმა. მოვიხედე და თუთხმეტამდე მოწიფული ლურჯ კაბიანი ბარიშნა რგოლივით გარს შემომერტყა, მე კითხვაც ვერ მოვასწარი, თუ რაში იყო საქმე, რომ ერთმა მათგანმა „დროების“ უკანასკნელი ნომერი პირდაპირ ჩემ ცხვირთან მოაბჯინა და ხმა მაღლა ამოიკითხა: „პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა ნუ რყვნით ქალებს!.. ანუ კაცობრიობის მტერნი“...

დაყვა და ბოლომდე ჩაარიხინა, რასაკვირველია, დამტვრეული რუსულ-ქართული აქცენტით.

გაათავა თუ არა კითხვა, თითქმის ყველამ ერთხმათ მომახალეს პირში: „თქვენ რა აზრის ხართ ამ ახალ წიგნზე, ელენა ვისარიონოვნა?! ღირს თუ არა, რომ გამოვიწეროთ?“. მე გაშტერებული დავრჩი ასეთი მოულოდნელი კითხვით. მართალია ვიცოდი რომ, ქუთ. მოსწავლე ქალ-ვაჟთ სქესობრივი საკითხი და მაძიებელ პოლიციელთა თავგადასავალი ამ უკანასკნელ დროს ძალიან აინტერესებთ, მაგრამ, რაც რამ წიგნი ამ კითხვებზე გამოვა, ყველას წაკითხვა ხომ არ შეიძლება ვურჩიო გრძნობა აღტყინებულ ახალგაზდებს!.. მით უმეტეს ბ. ბოლქვაძის წიგნის შინაარს მე თვითონ არ ვიცნობდი. მაგრამ თავმოყვარეობა მაინც არ შევილახე, თავი არ დავიმცირე და სერიოზული სახის გამომეტყველებით ვუპასუხე: „ყველას თამამათ შეგიძლიათ განუშორებლივ ატაროთ თა და სხვებსაც ურჩიოთ შეიძინონ, როგორც ძვირფასი სამეცნიერო განძი.“ მართალია წიგნს არ ვიცნობდი, მაგრამ მე მაინც მჯეროდა, ჩემი პასუხი ნახევრად მაინც მართალი იქნებოდა. მე ვიცოდი, 1) რომ მალ. ბოლქვაძე პირველი დუმის პრესის ბიუროს თავმჯდომარე იყო. (კარგი თუ ცუდი ეს ჩემი საქმე არაა), 2) ვიცოდი, რომ მის წერილებს (შინაარსიანს თუ უშინაარსოს ჩემი საქმე არ არის) „დროება“ და მისი წინაპარი გაზეთები პირველ ადგილს უთმობდენ, 3) ვიცოდი, რომ თავზე გრ. რობაქიძისბური შავათ მბზინავი ქუდი ახურავს და ცხვირზე შავი, ძვლის ჩარჩოში ჩაქედილი, პენსნე აზის ყურებზე მიუმაგრებლებლათ (ეს ხომ ხუმრობა არ არის!)..

მოდით ამის შემდეგ გამკიცხეთ ჩემი მოჩქარებული რჩევისთვის!..

მაგრამ არ გასულა ორი დღე, რომ „რეჩის“ მე-32-ტე ნომერი ჩამივარდა ხელში. მდიდარი არ ვარ, მაგრამ „რეჩის“ რეცენზენტს ათას მანეთს მივსცემდი, რომ ბ ბოლქვაძის შესახებ ისეთი სასტიკი რეცენზია არ მოეთავსებია და ჩემი ავტორიტეტური აზრი მიწასთან არ გაესწორებია—ჩემი თაყვანის მცემლების თვალში... წაიკითხეთ, რას წერს ის ოჯახ.ქორი: „Къ сожалѣнію, разум, подчинившіи себѣ молодость и страсти г. Болквадзе, куда то спрятался от читателія: не видно его ни в анализѣ в заимоотношеній полов в прошлом, ни в предсказаніях на будущее, ни в выборѣ мѣр, которыя он рекомендует для урегулированія этих в заимоотношеній исторію положенія женщины,—курьезная по своей глупости, бездарности и наивности—книжка излагает на 15 стр.—Хч. ... Есть в этой нелѣпой, шарлатанской книжкѣ.....

...г. Болквадзе **курьзным образом** бывшій в прежних Думах предсѣдателем бюро парлам. печати...

Не развращайте женщин! вопитъ г Болквадзе; не развращайте же и вы г. Болквадзе, мужщин и женщин своею пошлостью и бездарностью, не вводите читателей в обман.“

პოლოვცევ-პურიშკევიჩის გაზეთში რომ იყოს ასეთი რამ, საბუთი მქონდა არ დამეჯერებია, მარა „რეჩი“ ხომ კადეტების ორგანოა!.. მოყვანილი სიტყვებიდან ნახევარიც საკმარისია...

მეც მეტი რაღა დამრჩენია, წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი ლურჯ-კაბა თაყვანისმცემლები შეცდომაში შევიყვანე. 80 ცალი გამოწერილი წიგნიდან—ნახევრის ფასს მე ვიხდი და მასთან ხარჯის ფასს, ოღონდ უკან გააბრუნონ და მკითხველებს „ნუ გარყვნიან.“

თქვენი **ელენა ვისარიონოვნა.**

„სკანდალი“ რკინის გზის ვაგონში.

(ნამდვილი ამბავი)

11 თებერვალი ამა წლისა ახალი გათავებული იყო; მე და ჩემი ერთი კარგი მეგობარი ქ. ფოთიდან გიახელით. დავიჭირეთ ვაგონში საშუალო ადგილი—არც მდიდრის და არც ღარიბის, ეგრეთ წოდებულ მეორე კლასში. მეორე ზარი არ იყო მიცემული, ჩვენს ვაგონში შემოვიდა ერთი რკინისგზის მოსამსახურე. ვერ დავფარავ, ცოტა ისე იყო რაღა, მხიარულ გუნებაზე, არც მთვრალი, არც მთლათ ფხიზელი—სავსებით ამართლებდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვას: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“. იქვე ახლოს იჯდა ორი კაცი, ახ, პარდონ! Простите! ბოდიშს ვიხდი კაცებთან. კაცი კი არა, ორფეხა არსება, ერთი აღმოჩნდა ფოთ-ბათუმ-ქუთაისში კარგათ ცნობილი ბ-ნი პლატონ პანღურია, რომელიც ვითომ ამ ბოლო დროს ქუთაისში სამსახურიდან თითქო გააგდეს საყვედურით, ნამდვილათ კი სადურმიშხანო განყოფილებაში გადარიცხეს. მეორე კი აღმოჩნდა ჩრდილოეთის მცხოვრები მოაზეფო ყმაწვილი ვანიჩკა. პანღურია სრულს მუნდირში იყო, ვანიჩკა კი ყაბალახით იბურავდა მურიან დრუნჩს. რკინის გზის მოხელე ტკბილათ, რუსულათ მიესალმა ვანიჩკას: (ჩვენ ვიღებთ მუსაიფს უკომენტრიოთ თითქმის სრულათ):

— გამარჯვება ვანიჩკა! ვეღარა მცნობ? რვა წელიწადია, სრული რვა წელიწადი, ერთმანეთი არ გვინახავს! გახსოვს ვანიჩკა, გიმნაზიაში რა მეგობრები, რა ამხანაგები ვიყავით? მე შენით ვამაყობდი, რა კარგად სწავლობდი—ოხ, ღმერთო ჩემო, კარგი მიმართულების იყავი, ნამდვილი მემარცხენე! გახსოვს, რა მჭერმეტყველურათ ახასიათებდი მთავრობას, რა მოსისხლე მტერი იყავი ბიუროკრატიზმის! ღმერთო ჩემო, რა კარგი დრო იყო. რვა წელიწადია!—იცი, როგორ მენატრებოდა შენი ნახვა. აქ სადგურში თვალი მოგკარი, მაშინვე გიცანი, მაშინვე წარმომიდგა თვალწინ ძველი დრო, იმედები. მე მაშინვე შენსკენ გამოშურე, რომ ჩაგეხვიო, გულში ჩაგიკრა! რა დაგემართა ამხანაგო, პირს რათ მარიდებ! ყაბალახს რათ იხვევ, აქ ხომ არ ცივა, ხომ კარგად მიცანი შენი გულითადი მეგობარი, ну Ваничка! ხმა ამოიღე!

(ვანიჩკა ყაბალახში ეხვევა, იყუნტება, დემონსტრატიულათ სდუმს. პანღურია თვალებს აბრიალებს და უყვირის დაუპატიჟებელ სტუმარს):

— გაეთრიე გარეთ შე არამზადა! ხომ ხედავ, ვერ გიცნო, გაეთრიე, თორემ ჟანდარმს დაუძახებ!

— თქვენ ვინ ბრძანდებით? მე თქვენთან არა მაქვს საქმე. მე ჩემს ვანიჩკას ვემუსაიფები, ნუ გვიშლი, გეთაყვა, რვა წელიწადია, სრული რვა, რაც არ მინახავს!—ვანიჩკა! რა მოგივიდა, რა გემართება, нуу!! ნუ თუ მართალია ვანიჩკა, რაც შენზე გავიგე!? ნუ თუ მართლა შენ წახდი, გათახსირდი, იუდა ისკარიოტელი შეიქენი?!! ახ შენ ჯაშუში, ჯაშუში შეიქენ! ვანიჩკა, ჩემო ვანიჩკა, ჯაშუში, რა საზიზღრობაა, ხალხნო გაიგონეთ, ვანიჩკა ჯაშუშია! კონდუქტორებო, მოდით აქ, აი კარგათ შეხედეთ, კარგათ დაუკვირდით, კარგათ დაიმახსოვნეთ მაგ არამზადას სახე—გააფთხილეთ ყველა, გესმით, ყველას უთხარით, რომ ეს ყმაწვილი ჯაშუშია, ჯაშუში! შეხედეთ იუდას, იუდა ისკარიოტელს. აქაურობა წაბილწულია, მოწამლულია,—აქ ჩვენ შორის ჯაშუში ზის, გამყიდველი, გამცემი, სინდის-ნამუსზე ხელ-აღებული, არამზადა, ავაზაკი! ერიდეთ, ერიდეთ, გააფრთხილეთ სხვებიც. (ვანიჩკა კვლავ სდუმს, კვლავ მოკუნტულია. პანღურია „გასპარულია“ და მოიყვანა ჟანდარმი. პასაჟირები დრტვინავს. პანღურია ჟანდარმს):

— აი ეს ლოთი, ავაზაკი, აქ პატიოსან პასაჟირებს მყუდროებას გვირღვევს, გაიყვანეთ აქედგან, შეუყენეთ ოქმი!!

ჟანდარმმა კარგათ იცნო პატიოსანი რკინისგზის მოხელე და ზრდილობიანათ სთხოვა აეხსნა რაში იყო საქმე.

— მე არაფერი, აი ეს ყმაწვილი ჩემი ნაცნობი მეგონა, მოვსტყუვდი обознался. მეტი არაფერი. (ჟანდარმი გადის).

— ვანიჩკა! შე იუდა! რა გაგიჭირდა იმდენი, რომ ჯაშუშობა დაიწყე, სინდის-ნამუსზე ხელი აიღე! არა გრცხვენია შე გარყვნილო, გარყვნილი პანღურია გიცავს, გესარჩლება. აბა ჩამოყაჭეთ (валяте) თქვენ ჯაშუშებო, თქვე კაცი ჭამიებო, რა გააკეთეთ ეხლა ფოთში, ვის აუტირეთ ცოლშვილი ვის წაართვით თავისუფლება, თქვენისთანა ძაღლები! უკაცრავათ ძაღლების წინაშე ბოდიშს ვიხდი შედარებისთვის. უსაქმოთ ხომ არ გაირჯებოდით, აბა ბრძანეთ ვისზე ინადირეთ, ვინ დაიჭირეთ, წყეულიმც იყავით თქვენ!..

— გაჩერდები თუ არა შენ (აქ პანრურიამ ჩაუმარჯვენდეპუტატა ჩაუპოლოვცევა და მივარდა საწყალ ამხანაგ დაკარგულ მოხელეს. ვანიჩკაც წელში გასწორდა და წაეშველა პანღურიას. ამოიდეს ქვეშ და ისე სცემეს რომ სისხლი ადინეს... აქ კი გაწყდა მგზავრებში მოთმინების ფიალა, წამოვარდა ჩემი მეგობარი, ებღლვნა პანღურიას და პალურის ცემით მოაშორა, თან შეუბღვირა:

— როგორ ბედავ და სცემ, მეთქვენ გიჩვენებთ რომ ამის უფლება არა გაქვთ, მე თქვენ გიჩივლებთ—თქვენს საიზიზღარ მოქმედებას საჩივრის წიგნში ჩავწერთ.

მგზავრები.—ჩვენ ყველა უმოწმებთ.

— მაგას ნუ ინებებთ ბატონო თქვენ ხომ ქართველი ბრძანდებით მე მაგისთვის სამსახურიდან დამითხოვენ, მე არა მაქვს უფლება ვინმეს ვცემო въ полосѣ отчужденія (ესე იგი რკინის გზის არე-მარეზე ვერავის ვცემ სხვაგან კი მაქვს ნებაო) ვანიჩკაც მოშორდება თავის „გულითად ამხანაგს“, ამხანაგი თან სისხლს იწმენდს და თან ამკობს ვანიჩკას და მის დამცველს.

— აი შე ჯაშუშო, ნაყიდო ჯაშუშო, რატომ არა მკლავ შე ლაჩარო, შე ხომ გაქვს ჯაშუშის

ბრაუნინგი ჯიბეში.. რვა წელიწადი არ მინახავს ეს არამზადა, ოხ ღმერთო ჩემო როგორ მენატრებოდა, ვფიქრობდი კაცს ვნახავ მეთქი, ის კი არა გველი ვნახე შაამიანი გველი, ჩემი ვანიჩკა, ჩემი ამხანაგი მომკვდარა, მის მაგიერ გველი, გველი გაჩენილა, მართალია მე ამ გველს თავი ვერ გავუჭეჭეე მაგრამ შხამი კი ამოვაცალე ის აწი საშიშარი აღარ არის, მე მას პირ ბადე ავხადე (уличилъ) აი შე საბრალო ქმნილებავ აწი ვის რაღათ უნდიხარ პირ-ბადე ახდილი ჯაშუში—ეხლა რა გზა გაქვს, აღარც ჯაშუში, აღარც კაცი, დგრჩენია ერთი გზა—პალაჩობა იკისრო, აი მაშინ იქნები ნამდვილი მეგობარი პანღურიას. მშვიდობით. ჩვენ უკვე ქალადიდში მოვედით—ეს შენ პატივი გეცი, უკანასკნელი ამხანაგური სამსახური გავიწიე, სასაფლავოზე გაგყევი. მშვიდობით ჯაშუშო! ჯაჯუშო!

ავ-ყია.

კვირიდან კვირამდე.

მოხსენება თბილისიდან.

კვლავ რკინის გზის დეპოდან უნდა დავიწყო. რას იზამ! ოღონდაც მომწყინდა სულ დეპოზე ლაპარაკი, მაგრამ რომ უამისოთაც შეუძლებელია!

ან კი როგორ უნდა დავჩუმდე, როცა პატივცემული ტოკრები კვლავ განაგრძობენ თავიანთ სასახელო საქმეს—აკორდს—და არა თუ განაგრძობენ, მოილაპარაკებენ ხოლმე, ცოტა ვიმუშაოთო და ბოლოს ერთმანეთის ჯიბრით ხუთი კაცის სამუშევარს ერთი აკეთებს. მათ არ აფიქრებთ ის გარემოება, რომ ამას ხელფასის დაწევა მოჰყვება და...

და ამ ბოლოს ზოგიერთ მექვაბეებმა და ხელოსან-სლესრებმაც კი დაიწყეს მათი მიბაძა!.. ვაი სირცხვილო!..

—

გული არ მიშვება, აქვე ზოგიერთ მემანქანეების შესახებაც არ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

უმთავრესი, რაც დამახასიათებელია მათი პრწყინვალების, ეს გახლავთ საბრალო „სლესრებისადმი“ არა-საკადრისი მოპყრობა, რაც იმაში იჩატება, რომ ძალიან ხშირათ წვრილ „რემონტებს“ არ სწერენ!.. ამასთან, აკეთებენ იმ საქმეს, რაც მათ სრულებით არ ეხება და რაც აადვილებს ბევრ „სლესრის“ დათხოვას.

არა ნაკლებ საინტერესო გახლავთ აგრეთვე მათი ცხოვრებიდან ის ჩხუბი, რომელსაც ხშირათ სტეხენ ხოლმე დაბრუნებულ პრემიის შესახებ, მაზუთის გარშემო, მაგრამ ამაზე დეე მათ იტეხონ თავი...

—

მე კი ისევ ბოზარჯიანცის ფაბრიკის მეკარობკეთა განყოფილების მუშებიდან მოგახსენებთ ერთ პატარა ამბავს.

საქმე იმაში გახლავთ ბატონო, რომ ამას წინათ აღნიშნულმა მუშებმა დაადგინეს, მკაცრი ზომები მივიღოთ იმ მუშის წინააღმდეგ, რომელიც დათვრება და ქუჩაში ხეტიალს დაიწყებსო. ეხლა ზოგიერთ მართლ-მორწმუნე „ყანწისტებს“ მიუღიათ რა ეს გადაწყვეტილება სახეში, ამდგარან და თვით სახელოსნოში მიუტანიათ ღვინო და იქ გაუჩაღებიათ ქეიფი. ღვინისთვინ თან მიუყოლებიათ ყოველივე საჭირო მასალა, როგორიც არის კარტი, ყომარი და სხ. „გასართობნი“.

დანარჩენი მუშები ამაზე რასაკვირველია, გაცხარებულან, მაგრამ თავის მხრივ „ყანწისტებიც“ საკმაოთ იცავენ თავიანთ საქციელს და ამტკიცებენ, რომ მათ სხვაფრივ არ შეეძლოთ მოქცევა...

რომელი მხარეა მართალი?

ეს დეე მათრახის კუდმა გადასწყვიტოს!

—

ორიოდე სიტყვა ვერის სახალხო აუდიტორიის შესახებაც უნდა ვთქვა. ეს „სიტყვა“ კი იმაში მდგომარეობს, რომ გული ჩემი სასაყვედუროთ არის მომართული. დიახ, საყვედური, ბ-ბო! საყვედური! თქვენც სადღეგრძელოთი დაიწყეთ და შესანდობრით ათავებთ!.. თუ პირველათ სახეირო პიესებს დგამდით, ეხლა „თაგვის ბრალია“, „სიძე-სიმაჭრს“ და სხვა არხივის პიესებით გვიმასპინძლდებით. მაგრამ ვინ ჩივა, რომ ამას მაინც ხეირიანთ ამზადებდეთ!.. ბატონებო! იცოდეთ, რომ როცა ინტრიგა შემოგეპარებათ საქმეში, на ладъ тутъ дѣло не пойдетъ! ამიტომ განიწმინდენით თავი თქვენი, თორემ....თორემ მათრახის „ზაკაზი“ მიცემულია!

—

მოგეცათ სიცოცხლე, ადგილობრივ სემინარიის „ქართული ენის მასწავლებელი“ დაატრიალა მასზე დაბეჭდილმა წერილმა! დაატრიალა, მაგრამ ისე, როგორც მის ღირსებას შეეფერებოდა! ავტორს დაუწყო ძებნა, და იმაზე კი კრინტსაც არა სძრავს, თუ რამდენათ მართალია ბრალდება! მაგრამ, «Лишь-бы» წერილის ავტორი აღმოაჩინოს, მასზე ჯავრი იყაროს მხილებისათვის, და სხვაფრივ შეიძლება „Уладить дѣло!“

შეიძლება, რატომაც არა! მათრახის მიძღვნაც შეიძლება.

—

უკანასკნელათ უნდა გაუწყოთ მოთქმითა და ტირილით, რომ პატარა „ნოვოსტი ზაკავკაზია“ მიაცვალა და ქორწინება ჩაფუშულია! „ვაი, ვაი! ეს რა არის, რა ამბავია! რა ცუდია, ჩვენი დრო!“. მახლას, რამდენი „ახალგაზდა“ იხოცება!.

ეჰ, ჰე, ჰე!...

ღრმათ დამწუხრებული

ეშმაკის მოციქული.

*
* *

რა გინ იგლოვოს ცამ ღედამიწა:
მოღრუბელშავდეს, არ გადიწმინდოს,
ძირს კი ქვეყანა გარინდებული,
გადაითოშოს, ხმა ჩაიკმინდოს;
  ძრწოდეს გრიგალი სერიდან-სერად
  და ქვითინებდეს ცივ მიწის პირზე
  გლოვით აღსავსე ამბებს უთხრობდეს
  სუსხიან ზამთრის შავ გასაჭირზე.—
მაინც ვიცით, რომ გაზაფხულდება:
მზე სხივებს მოჭფენს, დადნება ველათ,
იფეთქებს ძალა თვით ბუნებაში
და მოირთვება მთაბარი ჭრელად!..
  რაგინდ ცხოვრება მცირედ შეფერხდეს,
  ვერ წინმსვლელობდეს იმისი ჩარხი
  და მაზე მოქმედ ძლიერ მდინარეს
  ქვიშით, ლოდებით ავსოდეს არხი,—
მაინც იმედი არ წამერთმევა,
ის ისევ ცოცხლობს და ღვივის გულში:
მრწამს, რომ ხალხის ბედს—ხალხივე გასჭედს,
არ ჩაინთქება იგი უფსკრულში!..

ნ. ზომლეთელი.

ყვითელი წერტილი.

ღრუბლიანი დღეა. მთელი ქალაქი რაღაც ჯადოსნურ ბურუსში გახვეულა. მზე, სადღაც შორს, შორს მიმალულა, ძლივს ძლივობით მოსჩანს პატარა ყვითელ წერტილივით, მისი სხივები ვეღარ სჭრის სქელ ბურუსს, ვეღარ სწვდება უზარ-მაზარ სახლებს, რომ სარკმლების მინები ააკრიალოს, შეიჭრას ოთახში და იქ მყოფს მიუალერსოს, გაათბოს, საამოთ აუტოკოს სევდით დაღარული გული. სევდა, უზომო სევდა გულს გწიწკნის, სული გეხუთება, გინდა გაიქცე სადმე, მოშორდე ამ ჯოჯოხეთს, გაიქცე შორს, შორს იქ სადაც მზის მწველი სხივები საამოთ მოგიალერსებს, დაგიკოცნის დაკოდილ გულს, გაგათბობს, გულში ჩაგიკრავს, უსაზღვრო სიამოვნებას გაგრძნობინებს. გინდა გაიქცე, მაგრამ ამაოთ. ძალა უნებურათ ისევ შესცქერი უსიცოცხლო დღეებს, ყვითელ წერტილს და სული გეხუთება. მცხოვრებნი შეჩვევიან ასეთ დღეებს. მათ მზის მაგიერ საკუთარი ხელოვნური მზე გამოუგონიათ, ვებერთელა ქუჩები ელექტრონით გაჩირაღდნებულია. მაძღარი, კმაყოფილი ადამიანები სიამოვნებით დააქროლებენ ეტლებს. ისინი მხიარულობენ. ხელოვნური დღე მათზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. უზარ-მაზარ, გაჩირაღდნებულ სახლებ შუა, აქა იქ შავი ლაქებივით მოჩანან, ვებერთელა, პირქუში სახლები. თავის სქელი, მრისხანე კედლებით და გახიახებულ რკინებიან სარკმელებით გულის მომწყვლელ გავლენას ახდენენ ადამიანზე.

მხოლოდ მარტო ამ სახლებში სანატრელი გამხდარა მხიარულება. იქ, მთელ ქვეყანას მოწყვეტილნი, ცოცხალი ადამიანები არიან დამარხულნი. მათთვის არ ანათებს მზე, მათთვის არ არსებობს მხიარულება. გადის დღე და თან მისდევს მათი უფერული, ტანჯული ცხოვრება.

უცბათ ერთ ამ საზარელ სახლიდან გამოიჭრა სევდიანი, გულის მომწყვლელი ხმა, მეხივით ეცა ბურუსს, გასჭრა, გააპო და თავგანწირვით გაქანდა მზისკენ.

— მზეო! მზეო! მოდი! მტყორცნე შენი ცხოველმყოფელი სხივები, გააპე ბურუსი, შემოიჭერ ჩემს საკანში, ჩააკვესე ჩემს ნახევრათ შექმულ გულში, გამათბე მაგრძნობინე სიცოცხლე, დამიტკბე უკანასკნელი დღეni—გულსაკლავათ ამოიკვნესა ახალგაზდა, ფერმიხდილმა ჭაბუკმა, სარკმელს მოადგა და ყვითელ წერტილს გატაცებით თვალები მიაშტერა.

ის დაეყრდნო ხელებს სარკმელთან და მწარე ფიქრებმა ერთბაშათ შებოჭა. ტკბილმა ოცნებამ მძლავრ ფრებზე შეისხა და შორს გააქანა. აი ის თავისს, წალკოტის მზგავს, სამშობლოშია. სუნნელებით შეზავებული ჰაერი ნექტარივით ატკბობს მის სულსა და გულს. ვებერთელა ბრწყინვალე მზეს, თავის ოქროსფერი სხივები უხვათ მოუფენია, კეკლუცათ, მხიარულათ დაქათქათებს მთელ ქვეყანას. ყველას და ყველაფერს მხიარულების ბეჭედი აზის, სიცოცხლე სდუღს. აი ის რკინის გზის სადგურზეა, მის გარშემო აუარებელ ხალხს მოუყრია თავი, ყველა იმედით შესცქერის მას, მის სახეზე მტკიცე რწმენა და გამბედაობა იხატება, ის მიემგზავრება, რომ იბრძოლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

— ძმებო, ამხანაგებო!—გაისმის იმის ძლიერი ხმა.—მე თქვენ მძიმე საქმეს მავალებთ ვეცდები მტკიცეთ შევასრულო ჩემი მოვალეობა, ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ინ სიკვდილი ან გამარჯვება.

— ჩვენც შენთანა ვართ, ჩვენც მზათ ვართ დავიხოცნეთ,—გაისმის ხალხის მედგარი გუგუნი.

აი დაიძრა მატარებელი, ხალხი გუგუნით აცილებს თავის წარმომადგენლებს. მატარებელმა მოუჩქარა, უკვე ნაცნობი ადგილები თვალთაგან მოფარა. ის უკვე ქალაქშია და ამხანაგებთან ერთათ

მედგრათ ეწევა დავალებულ საქმეს. ის გულს არ იტეხს, მისი დაავათმყოფებული აგებულება ყოველივე გაუძვრებას უმკლავდება. ვული იმედით ევსება, რომ შეასრულებს დავალებულ საქმეს, პირნათლად დაბრუნდება სამშობლოში, დღეაოულ გულს მიუშვერს მზის მწველ სხივებს, იგრძნობს სიცოცხლეს, იგრძნობს ნეტარებას.

ყველაფერი გათავდა. განქრა ოცნება. ყველაფერს ერთის დაკვრით ბოლო მოეღო. ის თავის ამხანაგებთან ერთათ ხელ-ფეხ შეკრული ოთხ კედელშია, თავის ხალხის მაგიერ ის სატუსაღოს მრისხანე კედლებს აძლევს თავის მოქმედების ანგარიშს; ნაცნობ მეგობრების მაგიერ ის ყოველ დღე სატუსაღოს დარაჯთა შეუბრალებელ სახეს ხედავს, თავის ქვეყნის სულის წარმტაც დღეების მაგიერ სევდიანი დღეები გულს უფათრავს. სიცოცხლის მომფენ ბრწყინვალე მზის მაგიერ ის ძლიერ იშვიათად და ისიც სადღაც შორს, ხედავს ყვითელ წერტილს. ლევანი გრძნობს, რომ მისი დღეები დათვლილია, ულმობელი სენი თანდათან იპყრობს მის სხეულს, ის გრძნობს, რომ კვდება, კვდება სადღაც შორს, ხელფეხ შეკრული, კვდება ისე, რომ ვეღარ ეღირსება ერთხელ მაინც ნახოს ნაცნობი ადგილები, ნაცნობ-მეგობრები, იგრძნოს სიცოცხლე. კვდება, მაგრამ ტკბილი ოცნება სულ სხვას ჩასჩურჩულებს ყურში. აი ვითომც ის უკვე მოშორდა ამ საზარელ ადგილს, მიდის, მიქრის საყვარელ ადგილებისკენ, გული სიხარულით ევსება. აჰა, მას უკვე მოხვდა ქათქათა მზის პირველი სხივი, მეტის სიამოვნებისგან ის დაიბნიდა, გადაღეღილი, დაპრილი გული მიუშვირა. მზემ თითქო იგრძნო, რომ მისთვის საპირო იყო მეტი სითბო, მეტი ალერსი, სხივები კეკლუცად შეათამაშა და ერთი ძლიერი სხივი გულზე დაადგა, ჩასწვდა სიღრმეში, ძალზე ჩაანათა. ლევანმა უსაზღვრო სიამოვნება იგრძნო, დაწყლულებული გული აუტოკდა, შეინძრა... მას სუნთქვა შეეხუთა. თავი მაღლა აიღო. წინ ისევ სასტიკი სინამდვილეა. შორს, ბურუსში მკრთალად მოსჩანს ყვითელი წერტილი. ის ამ ყვითელ წერტილს მიაშტერდა და გულ საკლავათ ამოიკვნესა.

— მზეო! მზეო!, გააპე, ბურუსი, მტორცხნე შენი ცხოველ მყოფელი სხივი, ჩაიხედე ჩემს გულში. მაგრძნობინე სიცოცხლე, შეხედე, როგორ დაკოდილია ის. მისთვის საპიროა შენი სხივი. მზეო! მზეო! ჩამანათე შენი სხივი, გამათბე!.. ნუ თუ აქ უნდა მოვკვდე, აქ უნდა დავლიო უკანასკნელი დღენი?! ვერ ვიხილავ ნაცნობ ადგილებს, მეგობარ-ამხანაგებს, ვერ ვიგრძნობ სიცოცხლეს?! ერთხელ მაინც არ ჩაანათებ შენს მწველ სხივებს ჩემს დაობლებულ გულში?! ოჰ! რკინებო! რკინებო!—ბრაზიანათ წარმოიძახა მან, თავისი, სანთელივით გაყვითლებული სუსტი ხელები გახიახებულ რკინებს ჩასჭიდა თითქო უნდოდა დაემტვრია.

ირეთელი.

(დასასრული იქნება)

მ ძ ო ლ ს...

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემგზავსოს.
ნ. ბარათაშვილი.

მძულს, შეზიზღება
მონა მკრთალი, გაფითრებული
ორრის მოშქმედი, უსიტყვოცხლო
ამ ქვეყნად მკვდარი.
უტყვი, უნო
ცხოველიეთ დამუნჯებული
გაუბედავი ძლიერთ ფეხქვეშ
შტოტავ-შეშაორი.

—

სულ არ მებრალების
მოქვითინე, მტირალ მუშკენჯარი
რომლის სიმღერას ძმაგ შეადგენს
მოთქმა და ზარი.
ვინტ რომ ყარჭეთ,
შეაჩვენა ბრძოლა, მედგარი
გამოაწყვია მოსისხლე მტრის
გულით ხარხარი.

—

ვინტ უდრტვინველად ეზიდება
ულელს ვით ხარი,
გმაყოფილია თავისი ხვედრით
ბატონის ლხენით.
ვინ მორჩილია, ძარს დახოხავს,
ორთის მხლელი-ლაჩარი
და მსუნაგოთოვის სიმდიდრეს ჭქმნის
სისხლ ოფლის ლენით.

—

მიეგარს, ვდიდებ,
მას ვოველი ჩემლ გულის მეგობრათ...
კაცს, თავ კანწარულს,
მამატ მებრძოლს, ყოველად უშიშარს
ვინტ რომ ძლიერთა
მკარ მუქარას, ამაკად, მედგრათ
რისხვის მეხს ატეხს
მუქარითვე სტემს საშიშ თავ-ზარს.

გ. ქუჩიშვილი.

დიდებული ნადიმი.

— ხელები დაიბანეთ, ბატონებო? მიმართა დუმის მეშარჯვნეთა ლიდერმა და თავის ჯარს გადახედა.

— რა საჭიროა დაბანა?—გაიკვირვა გულკინმა—ნასადილევს დავიბანოთ.

ტიმოშკინმა გადახედა და წაიჩურჩულა:

— აი შე საძაგელო! რა მშვენიერი ღალსტუკი გაუკეთებია? ჩემთვის კი არაფერი უთქვამს.

— დღეს ვიყიდე. სპეციალურათ პრემიერის სადილისათვის გამოარჩიეს.

დაიწყო სადილი.

თუ იმას არ მივიღებთ ჰხედველობაში, რომ ერთმა მორცხვმა დეპუტატმა ჩანგალზე სარდინკის მაგიერ პრობკა [illegible] და უნდოდა გადაეყლაპა, გულკინი შეეცადა ორი [illegible] დაეჭირა ლიპი სოკო და რაკი ვერ მოახერხა გინება

არმია სადილზე გაემგზავრა პრემიერ მინისტრთან.

— გახსოვდეთ, ყმაწვილებო, ხელით ცხვირს ნუ მოიწმენდ, ოვზს დანით ნუ სჭამთ, და უკეთუ დაგბოყინოთ, პირჯვარი გადაიწერეთ. გაიგეთ?

— ღმერთო, დიდებულო,... ჩვენ საჩაიეში...

— საქმეც ეგ არის. ყველაზე მეტათ თქვენ გთხოვთ ვლადიმერ მიტროფანიჩ:—თუ სადილის დროს ქალთა სიეზდის შესახებ დაიწყონ ლაპარაკი, როგორმე თავი შეიმაგრეთ. თუ ძალიან მოგაწვეთ გულზე მაგარი სიტყვები, ჩაყლაპეთ, ნუ წამოისვრით. თორემ ყველანი შევრცხვებით. შენ, ტიმოშკინო, თეატრის შესახებ შეგიძლია ორი სამი სიტყვა სთქვა, მაგალითათ ბატონ, გოგოლის „რევიზორი“ კაი რამე არის თქვა. სხვა რამეზე ლაპარაკი არ დაიწყო, თორემ შენებურათ აურევ და შევრცხვებით. მგონია ყველაფერი ვთქვი.

— დიახ, ჩვენ საჩაიეში... გაისმა ვიღაცის ხრინწიანი ხმა, მაგრამ ჩქარა ჩაახუმეს.



მიადგენ კარებს. შვეიცარმა კარები გაუღო. ყველანი ფეხების ბაკუნით შევიდენ ვებერთელა დარბაზში.

ტიმოშკინმა ველარ მოითმინა შვეიცარს გრძნობით ხელი დაკრა მხარზე და ხელში ორ შაურიანი ჩაუდო.

— შენ, რომელი გუბერნიიდან ხარ ძმობილო?—თუ კავკასიიდან ხარ „ზემლიაკები“ ვყოფილვართ.

—

დაიწყო, —თუ ყველა ამას სახეში არ მივიღებთ, სადილი ჩინებულათ დაიწყო.

რუშკოვმა თვალი მოავლო სუფრას დ: ტკბილათ ჰკითხა პრემიერს:

— სად არიან თქვენი შვილები? აღზრდილათ სცხვენიათ აქ გამოსვლა.

და რაკი ყველას სახეზე განცვიფრება ამოიკითხა დაუმატა.

— არაფერია! გვიან გამოვლენ. უთხარით მზარეულ დედაკაცს რომ სადილი შეუნახოს.

სუფრის ბოლოდან მოისმა პურიშკევიჩის ხმა:

— მე რაღაც ვიცი.

— ვალოდია! თუ ქალთა სიეზდის შესახებ...

— არა! მე რაღაც დავინახე! ტიმოშკინი თევზს დანით სჭამს.

მარკოვმა მრისხანეთ გადახედა ტიმოშკინს.

— რა ვქნა! ძალიან მაგარია.

ტიმოშკინს უნდოდა ეს უსიამოვნო ინციდეიტი ჩაეფუჩეჩებია და ღიმილით მიმართა ოსმალეთის ელჩს:

კაი „შტუკა“ კი არის ბ. გოგოლის „რევიზორი“.

იმან შიშით იქით გაიწია და მეზობელს რაღაც ფრანგულათ უთხრა.

— ძალიან ღვინოა!—სამ მანეთს მიცემდით?—შეეკითხა სუშკოვი პრემიერს.

— არ ვიცი მე არ მიყიდია.

— მე რაღაც ვიცი მოისმა ისევ პურიშკევიჩის ხმა.

— რა?! რა ამბავია?

— გულკინმა ჯიბეში მსხალი ჩაიდო. მე დავინახე.

— გულკინო!—მრისხანეთ მიმართა მარკოვმა.—ამოიღე ჩქარა მსხალი.

— აჰა, წაიღე! დიდი საქმე კია ერთი მსხალი.

რუშკოვს ლაზათიანათ დააბოყინა და იტალიის ელჩს მიმართა:

— სული ღმერთს ელაპარაკება.

— ეხლა ძმებო, გავძეხით და წამოვწვეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ პეტრე არკადის-ძევ.

მარკოვის უკან მორცხვი დეპუტატი საყვედურობდა.

— ძალიან არ გაგვიმასპინძლდენ! რა ნაირი საჭმელები იყო, თითქოს კბილის საჩხრეკიაო.

— ეჰ ძმაო, შენიშნა რუშკოვმა. კბილის საჩხრეკი კი არა პირის გამოსაფხეკია.

გამოვიდენ. ზოგი გაჯავრებული, ზოგი მხიარული.

— ქაჯები, ეშმაკები—ბრაზიანათ ამბობდა მარკოვი. განა თქვენ სახლში შესაშვები ხართ?! შეხვალთ თვარა ფეხებს სტოლზე აწყობთ.

წინ წამოდგა წითელი მრისხანე დეპუტატი, ჰაერში მუშტი გაიქნია და წამოიყვირა:

— ჩვენ „საჩაეში“!.....

— რაა თქვენს საჩაეში? ძალა წაიღე ერთი.

წითელმა დეპუტატმა კიდევ გაიქნია მუშტი ჰაერში და დაბეჯითებით წარმოსთქვა:

— ჩვენს საჩაეში...., თუ რამე ასეთი მოხთა, კარგი მუშტი თავში, მორჩა და გათავდა, თქვენ კი ძალიან გვეხათრებოდით....

*
* *

ჩუ! ხმები, ხმები...ის ირღვევა...უკანასკნელი
ისმის ფართხალი, სასიკვდილოთ ბრძოლა სულისა,
საბედისწერო ნიშნებს ხატავს კედელზე ხელი,
მომასწავები უეჭველი დასასრულისა!

დასასრულისა!.. დიახ, იგი დრტვინავს, ბობოქრობს
და სადაც არის გაირღვევა მის წინ უფსკრული,
დრო ულმობელი თვისას იზამს იმას ჩააქრობს,
რომ მით დაიხშნას სიმართლე, დღეს ჯვარზე გაკრული.

დასასრულია—დასაწყისი ახალი ხანის...
ის უკვე არის, თუმც მის ცისკარს ღრუბელი აკრავს,
მაგრამ ეგ ჯადო, ოინია გრძნეულ სატანის,
და აი, ჯადოს გადალოცვის საათიც დაჰკრავს!..

...იგი ბობოქრობს, დრტვინავს, არის შეწუხებული,
თრთოლავს, ფართხალებს და ირღვევა...ირღვევა ნელა!
იმატა სიმხნემ და იმედით აჭოკდა გული:
აღარ მაშინებს, რომ ჰქრის, სუსხავს და კიდეც ბნელა!..

ნ. ზომლეთელი.

* *
*

შუა ღამეა... მთვარე კაშკაშებს.
და ვარსკვლავები გაჭკვრია ცასა,
ცისა მ ათობნი, გაბრწყინვებულნი
შუქს ჰფენენ დაბლა მთასა და ბარსა.
დადუმებულა ძირს დედამიწა
ძილს მისცემია მთელი სოფელი,
მხოლოდ ხის ფოთლებს, მოლურჯო ჯეჯილს
დაჰქრის და არხევს ნიავი ნელი.
იქ მაღლობიდან მთისა ფერდობზე
ჩამოჩუხჩუხებს ანკარა წყარო,
სულ განაბული მის წკრიალა ხმას
ყურს უგდებს არე მთელი სამყარო.
მას უერთდება ბულბულის სტვენა
და ეს გალობა შორით გაისმის:
ვით ციური ხმა ანგელოზთ გუნდის,
ქვეყანას იგი ისე მოესმის.
შორით მაღლობზე მთისა კალთაზე
ნორჩი ბალახი მწვანეთ ბიბინებს
და იქვე ახლო ცხვრების ფარას
მწყემსი სალამურს ზედ დაღიღინებს:
ბუნება ხარობს, ქვეყანას სძინავს,
მთვარე კაშკაშებს, ჩუხჩუხებს წყა ო...
ადამიანნი!? არ იღვიძებენ
ძილს მოუცვია კაცთა სამყარო.
მერე როდემდის ეძინ ით ასე,
როდემდის უნდა უმღერდეთ ნა ას?..
ღმერთო მომა წარ იმ ნეტარ წამსა,
რომ გაეღვიძოს მძინარ ქვეყანას.

წყაროსთაველი.

გურული სცენა.

(ძველი გურული)

ბათუმის საოლქო სასამართლოში ირჩევა საქმე გურიაში ცნობილი კარგი მასროლის აზ. გ. ბ—ძისა. ბრალად ედება სახლიკაცისათვის რევოლვერის სროლა· საბრალმდებლო ოქმის შემდეგ ბრალდებული კითხულობს—რას მერჩიან, რა ბრალს მდებენ?

— თქვენ გამტყუნებენ იმაში, რომ რევოლვერი გისვრიათ, ეი ამ კაცისთვის სასიკვდილოთ, მაგრამ აგიცილებიათ.

— ვაი დედავ წავხდი, სასიკვდილოთ ვესროლე და დავაცილე? არა, ბატონო! მაგას ნუ იჩებებთ, ასე ნუ მომჯაყავთ. ა ბატონო მეც აგერ ვარ და თქვენც, ჩემი ლევერიც აგერ მაქვს—კაი სროლა რომ ვიცოდი, ნიშანში რომ პირდაპირ ტკუცვა ვიცოდი ჩინი და ტემლაკი იმიზა მომცეს თვარა პახოდში სხვაიც კი იყო მარა ჩემისთანაი მასროლი ორი არ იყო. გამუუნიშნებდი თათარს და შიგ კიმკიმაში ვეტყოდი ქრისტე აღსდგა მეთქი. თუ არ დამიჯერებთ გამომცადეთ, თვალის საწიერზე დადევით აბაზიანი, გამუუნიშნებ ვესრი და თუ შუაზე არ გავხრიტო კი ვყოფილვარ მინავათი და თქვენ რომ არ დამსაჯოთ ვითამ მე რათ მინდა მოჯაყული თავი ცოცხალი, დედავ და აბაზიანს თვარ დავაცილებ რაფერ იქნა, რომ ამხელა ვირს ვესროლე და დავაცილე. არა ბატონო, მაი პატიოსანი კაცი ვერ დევითხუვე, ბაბაის და ბაბუაის სოულზე მედავებოდა, მეტი აფერი გევიდა მოციქული არ მიმიკლია ფიცი და მტკიცი, მეტი რომ აფერი გევიდა შესაშინებლად ვესროლე. მაგი ენა გატლეკილი ამიზა ამდენ პატიოსან კაცს რეიზა გაწუხებდა წასულიყო მას თვარ ქონდა ერთი აბაზი მე მივცემდი, და ქამჯარაძის ქალს შეშინებულისას გამუალოცვიებდა თვარა აგი რაფერ იფიქრა ოკრუჟნი სუდს მუატყუებ გუჯასპიმ მესროლა და დამაცილაო. მაგი რომ დეიჯეროთ, მაგი რომ გუუვიდეს მაგ ცხვირ მოუხოცელ ყაზილარს კეკალი გული მომეჭეჭკება, რუსს სამართალი არ ქონია მეთქი ვიტყვი და ამას ნუ ანებებთ. (მცირე თათბირის შემდეგ გუჯასპი გაამართლეს).

პიტნა.

ბუქნა-ბუქნა.

ჩუ მოისმა
მუსიკის ხმა,
მოდით ნახეთ!—ცეკვავს, უკრავს..
გიჟია თუ გადაუკრავს?!
სანახავი ყოველ-გვარი
იყიდება ამ ჩვენ დროში,
თქვენც მოიღეთ მოწყალება,
გამოიღეთ თითო გროში.
დაუარა, ჩაუბუქნა!..
მოდით, ნახეთ,—
დაინახეთ,
კაცს ცხოვრებამ თუ რა უქნა...
ვისაც ესმა
მუსიკის ხმა
დანჯღრეული გუდა-სტვირის,
მოდით ნახეთ,
დაინახეთ!—
პირით უკრავს, გულით სტირის...
სანახავი ყოველ-გვარი
იყიდება ამ ჩვენს დროში;
თქვენც მოიღეთ მოწყალება—
მიაწოდეთ თითო გროში!..

იქ ფანჯარას თვალი უქნა,
დაუარა, ჩაუბუქნა,
მოდით ნახეთ,
დაინახეთ
კაცს ცხოვრებამ თუ რა უქნა!
გაძლიერდა სტვირ-ნალარა,
დატრიალდა თმა-ქალარა!
მოხუცია, ხედავთ?! ხედავთ?!
თქვენ იცინით?—როგორ ბედავთ?!.
სანახავი ყოველ-გვარი
იყიდება ამ ჩვენს დროში
თქვენც მოიღეთ მოწყალება—
გამოიღეთ თითო გროში!..
დაიქანცა, დაიღალა;
გაუოფლდა თმა-ქალარა...
დაუგორდა სტვირი გუდა;
თვითონ წალმა გადაბრუნდა!
იცინიან: ხა-ხა-ხა-ხა!
გაილახა
კაცი-გლახა!..
სანახავი ყოველ-გვარი
იყიდება ამ ჩვენს დროში
თქვენც მოიღეთ მოწყალება
მიაწოდეთ თითო გროში.
აფსუს, ჩინც ვერ დაინახა!
ხა-ხა-ხა-ხა!
ხა-ხა-ხა-ხა!
გაითელა, გაილახა!..
თმა-ქალარა
კაცი გლახა!

ისახარ.

საგანგებო მოხსენება ეშმაკისადმი.

თქვენო ეშმაკეულებავ ბ-ნო ეშმაკთ-უხუცესო ეშმაკო!

ვიცი გრძნეულსა გულსა შენსა მრავალი სმენია ქურდობა ცხოველთა, მათ ადამიანთ წოდებულთა მიერ ჩადენილი: სმენია ქურდობა მოხელისა დიდისა ხაზინისაგან ოქროდ განზიდვისა; ქურდობა ინტენდანტისა, ქურდობა მოძღვართა სულიერთა, ქურდობა საზოგადოების საქმეთა მწარმოებელთა, ქურდობა მსახურთა რკინის გზითა და ზღვათა შინა მოცურავეთა; ქურდობა ბანკთა შინა მოსამსახურეთა და საგაჭროთა შინა მჯდომარეთა, მაგრამ მბრძანებელო ჯოჯოხეთისაო, ქურდობა ეს წარმოსდგინდების ცხოველთაგან.

დღეს, მაქვს პატივი მოგახსენო შესახებ ქურდობისა, რომელი წარმოსდგების უსულო საგნისა მიერ და მით ხდება ყოველთა საყურადღებო.

მისმინე მეუფეო:

ზღუდეთა შინა გურიისათა სცხოვრობს კაცი წოდებული მიშად, ხოლო გვარი მისი ნაკაშიძე, პატრონი ხურხისა ქარხნისა. და აი საქარხნოსა **საათსა** მიშასასა მოუპარავს მუშათათვის 365 საათი ამოდენივე წუთებითა. ქურდობა ესე ხდებოდა არა თუ საქმის დღესა, არამედ უქმობისასაც.

მოგახსენებ რა ამბავსაც ამას განსაცვიფრებელსაც, გთხოვთ აუწყოთ სრულიად ჯოჯოხეთსა რომ ქურდობენ არა მარტო ცოცხალნი არსებანი, არამედ უსულონიც ვითარცა საქარხნო საათი მიშა ნაკაშიძისა.

მარადის **შხანკოლა.**

Прочелъ съ удовольствіемъ!

Эшмаки.

ნოქართა ცხოვრებიდან.

(ბათუმის ყავა-ხანაში).

სანდრო. დაილოცა, ძმაო ვანო,
ათას ცხრაას ხუთი წელი,
როცა თავზე ხელს გვისვამდა
ხაზეინი „ჯიბე სქელი“

ვანო. ჯერ შენ, ძმაო, გააგორე
„შაში ბირი“ გექივრება,
ხოლო შემდეგ მომიყევი
შენი ლხინი გაქივრება.

სანდრო. აბა ერთი „ოლლურ“ ბიჭო!
„შაში ბირი“ გენაცვალე!!!

ვანო. ვერ მოგართვი ბადრიჯანი
„შაში ჩარი“ არის ესა
თუ ვანო ვარ ცივი კურცხლით
გაწყევლიებ დღეის დღესა,

(მეორე ჯგუფიდან)

რა ჰქენი, ბიჭო ანდრუშკა?!
არ აგისრულდა წადილი?
სხვას ქე დაეხსენ ძმობილო
მგონი არც გექნეს სადილი.

სანდრო. არ ამისრულდა!! რა უყო?
ხან ასე არი ხან ისე
აბა, ვანოჯან, შესძახე
ახლა გქირია „შაში-სე“

ვანო. აბა, გენაცვა, აბრუნდი!
„დავ-ბასე“ არის, ხო ხედავ!!
თუ გულს გაკლია რამე და
უწინ ჯიბეში ჩახედავ?

(მესამე ჯგუფიდან).

რა გემართება ნიკოლოზ
როგორ საწყლად აგორავებ?!
მოდი ძმავ ფულს, მე გასესხებ,
„ფინჯაკს“ თუ დამიგირავებ!

(ყველანი ადგებიან და ერთათ)

დაილოცა „ყავა-ხანა“,
კამათელი დიდებული,
დომინოს აჩხრიალება,
ნარდის პირი დაღებული,
კამათელის შეძახილი,
კონი იქვე დადებული,
„ყავახანის დაკეტვამდე“
თამაში გაჩაღებული. (გადიან)

შლეგი.

სენსაცია ბროდინციიდან.

მო ყური მიგდე, ეშმაკო,
გიამბობ მცირე რამესა,
არ დიდათ დაუჯერებელს
და გულის დასაამესა.

აგვიცუნცრუკდა ივანცრუკ
მათრახით აღჭურვილია,
(შენ არ აგემე, მაგრამ მანც
იცის რა ტკბილი ხილია!)

ჯერ სხვებზე სცადა ცუნცრუკამ
უბრალო სოფლელებზედა,
სადაც კი გადაეყარა
ბაზრად თუ სოფლის გზებზედა...

შემდეგ სტრაჟნიკებს მიადგა
და შეუხურა გვერდები,
მაგრამ გამოხტა შველია
ამ ამბით დანაფეთები

და უთავაზა ივანცრუკს
თოფის კონდახი მაგრათა,
(არ ეჭაშნიკა მათრახი
მოძმეთა დასაჩაგრათა)

გაექცა ცხენი ივანცრუკს,
უზანგში შერჩა ფეხია
და გადმოვარდა შარაზე,
(სადაც ეყარა რეხია)
ხალხი იძახდა: ორივეს
კისერიც მოუტეხია...

ავ-ყია.

ძმაო ეშმაკო! ახირებულია შენმა მზემ. ეს პატარა თხოვნა მაინც აგვისრულე შე დალოცვილო: 1) ირაკლი თედორაძე, რა რომ ბოქაულმა ივასიუკოვმა ღამის ყარაულათ დანიშნა სულ სოფელ ში დასდევს დარაჯებს და უძილობა დასჩემდა. ბოქაულმა ქე მოინდომა მისი ნერვების დაზელა და მასსაქიც გაუკეთა მაგრამ, ირაკლის ამით არაფერი ეშველა. საჭიროა შენი დამაწყნარებელი საშვალებაც. ნუ დაგვღუპავ! 2) ამასთანავე არც ბოქაული ივასიუკია კარგ გუნებაზე მას შემდეგ, რაც მაზრის უფროსმა მისი რაინდული „მოღვაწეობა“ გამოიძია. ისიც მთხოვნელია მცირე რამ, თუნდა ერთი პორცია დამაწყნარებელი საშვალება გამოუწერო. 3) დომენტი თოდრია ფრიად ჭანდრაკულ ვითარებაშია ჩავარდნილი. ხალხს ისე უნდოდა მისი მამასახლისობა· როგორც მუცლისტკივილი, მაგრამ ბოქაულმა ძალათ დააყენა და ახლა აღარ იცის თავი რით გაიმართლოს. უშკელე რამე. 4) მოძღვართა მოძღვარი ლუკა მამალაძე, ქადაგების ენის ქავილს განიცდის. ტემა ქადაგებისათვის სულ თანამედროვე აურჩევია· ორ თებერვალს მკაფიოთ განუმარტა ხალხს: „რაკი ახალთაობამ საქმე წაგო ყველაფერი ძველებურ კალაპოტში უნდა ჩადგეს, თქვენი საკურთხი საკურთხი კიარა პუსტიაკიაო. აგრეთვე საზიარებელი და ჯვარ-საწერ სანათლავი ფულიც საჭიროა მეტი მოიტანოთო; ამასთანავე ვინც ზიარებას არ მიიღებს იმათ სიას შევადგენ და სადაც ჯერ არს წარვადგენო. და სხვა მრავალი ამ გვარი კეთილი რამე. მღვდლების პატივისცემა კი იცი, ძმაო ეშმაკო და იმედია ამასაც უპატრონებ.

შენი ვარდი.

—

სოფ საქარა. ძვირფასო ეშმაკო! თუ არ შეგეზარება გაგვაგებიე რა ეშველება ეფრემა ძვებულიძეს. საქმე აგრალულია იცოდა. აქაო მიწა მაქვსო, შენ ხარ ჩემი ბატონი და ლამის დაახრჩოს

მის მამულზე მომუშავენი. 1907—1908 წლებში ხომ გვაზარალა, მაგრამ ამ 1909 წლისთვისაც არ უმზადებს კარგ ამბავს. წარმოიდგინე ქცევაში 20 ქანქარს თხოულობს. ერთი სიტყვით ბატონ-ყმობას მოგანატრებს მისი საქციელი. გვიშველე რამე.

საქარელი გლეხი.

—

ხონი. დავიწყოთ ღორებიდან. ქალაქის ბულვარში სამი ჯოგი ღორი იწერება ოთხი სტრაჟნიკის მფარველობის ქვეშე თეატრის აშენებასთან არც ღორებსა და არც სტრაჟნიკებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვ. ამბობენ ხელოვნების ტაძარი 1987 წელს მოსრულდებაო. იმასაც ამბობენ, რომ აკაკის იუბილეს თეატრის დამთავრებამდე ვერ გადაიხდიანო. გადმომცეს: დეპუტაციაც გაუგზავნეს მგოსანს: ჯერ არ გვცალია და ჩვენსკენ ნუ ჩამოხვალო.

აქ ერთ ინტელიგენტსა და ვაჭარს ჩხუბი მოუვიდათ. საქმე ასე იყო: ვაჭარი შევიდა ი. სალარაძის მაღაზიაში და ერთი ჯოხი გამოარჩია· მოეწონა და გადასწყვიტა: ამას აკაკის მივართმევ იუბილეზეო. იქვე მივიდა მეორე ინტელიგენტი და იმასაც მოეწონა ჯოხი იმავე საქმისათვის. შეეკინათ ჩხუბი და მთელი მაღაზიის ჯოხები ერთმანეთს დაამტვრიეს თავზე. ახლა აკაკის იუბილეზე ჯოხები აღარ იქნება.

ამასთანავე, ძმაო ეშმაკო, ტყვილათ უსაყვედურებ შენ აქაურ ინტელიგენტებს უსაქმობას. მაგალითი: მოსწავ**ლე** ბარიშნებმა ძლიერ გაახშირეს ხაჭაპურის ცხობა. დროის გასატარებლათ რა თქმა უნდა. და აი სამმა ინტელიგენტმა განიზრახა ერთ ალაგას ხაჭაპურის მოპარვა. შეიძლება განზრახვა განზრახვათ დარჩა, მაგრამ ინიციატივას მოკლებულნი მაინც არ არიან ჩვენი ინტელიგენტები.

ხით-ხით.

—

ს. ნახახულევი (ხონის რაიონი). დიდო ეშმაკო! გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე მარტო ვერ აუვედი ჩემი რაიონის საქმეებს და შენც უნდა მომეშველო. საქმე იმაშია რომ ლავრენტი ჩიბაკაძის წასვლის შემდეგ ნახახულევის ბანკის საქმეები სულ უკან-უკან მივა, კულაშელი ხუცესის თქმის არ იყოს; ვეწევი წინ, მარა ჯერ ვერაფერი გამოვდენე, ასე რომ უნდა დამეხმარო

ეშმაკო, **ს**ული თუ გიყვარს
ჩამოფრინდი ამ სოფელში,
თან გეპიროს საცხუნებლათ
შენი ნაგაიკა ხელში...
შედი ბანკში დატრიალდი,
გამგეები გაგვიჯორე —
ივანე წვერებ ცანცარა
ფილიპე და ნიკიფორე...

მოგელი წერილის მიღებისთანავე, შემოგეგებები ოც და ათი ჯორით...

შენი ეშმაკუნა.

—

ხონის მიქელ-გაბრიელის ეკ. სამრევლო სკოლის „პესტალოცებს“.

ორშაბათ დილა გათენდა
საამო დარი დგებაო...
სამსონი (ხონის „პესტალოც“)
დღეს რაღაც ადრე დგებაო.
ყველა გამვლელი გაკვირდა—
კარგი არ ემართებაო:
ჯერ ხომ ადრეა, სკოლაში
კიდევ არ წაესვლებაო,
მაგრამ სამსონი თან ჩქარობს,
თან მძიმეთ ჩაფიქრდებაო.
მას სულ სხვა დარდი აწუხებს
სხვა რამე ელანდებაო.
სკოლაში მისთვის იჩქარის,
იქ ვინმე ედარდებაო,
თორემ იცოცხლე თუ არ ის
მუცელზე უყვარს გდებაო.
თორემ ბავშვების განსწავლა
სამსონს რა ენაღვლებაო.
„პოპეჩიტელიც“ ხელს უწყობს,
არს სრული მისი ნებაო—
„უჩიტლის“ საქმე საგმირო
სულაც არ ეწყინებაო.
ვით კრილოვის გმირს გალობა,
მას სწავლა გაეგებაო,
მხოლოდ სახელი ატაროს,
სხვა არა აგონდებაო.
თუნდ გიჟი იყვეს „უჩიტლად“,
სკოლაშიც გარყვნილებაო—
ამაზე „პოპეჩიტელი“
სულაც არ გაჯავრდებაო.
თუ ღმერთი გაწყრა, სწავლის დროს
სამსონი გაჯავრდებაო,
ენა ვერ ასწერს, რაც ბავშვებს
მით დღენი დაადგებაო:
ზოგს ყურს ააფრეტს, ზოგს ცხვირსა,
ზოგს თავი გაუსკდებაო;
„პოპუჩიტელი“ იქა ზის,
გემოზე ეცინებაო.
(უნდა უცოდე, ეშმაკო,
ის ამით არა ცდებაო
სწავლის დროს მუჯლუგუნები
(ბავშვებსაც წაადგებაო).
როს მუშტნი ნამოქმედარი
სამსონსა მოელლებაო,
გარედ გამორბის საჩქაროდ
იქ ვინმე დაუხვდებაო.

ამშვიდებს სამსონს, აწყნარებს
მალამოდ დაედებაო ..
ისეთსა სცენებს დადგამენ,
კაცს თმები აგიდგებაო.
ვინ არის სკოლის პატრონი,
გული ვის ატკივდებაო!
ღვთის მადლით მღვდელიც კარგი ჰყავთ.
ყანწები ელანდებაო.
თუ ვინმე მოკვდა მრევლთაგან,
ქელეხით გასვენდებაო,
მაშინ ვით მთვარე ახალი
ხუცესიც გამოჩნდებაო.
მიაჩიქჩიქებს საწყალ მკვდარს
და მალეც ჩაბრუნდებაო.
„აავსეთ ღვინით ჭიქები“
ტოლუმბაშს ეხვეწებაო.
გამოითვრება მაზალოთ,
ხელით სათრევი ხდებაო.
აბა სად მისი ყანწები,
სად მაცხოვარის მცნებაო.
  ნუ დაგვამადლი, ეშმაკო,
ინებე მოვლინებაო,
ჯოჯოხეთს ვფიცავთ ძვირფასო,
გველევა მოთმინებაო.
და ვისაც რამდენს მიუსჯი
სრული შენია ნებაო.

„ერუშა“.

ს. ოფშქვეთი. დიდ მარხვიდან გრიგოლ ბერაძე და სიმონ კეპურაძე შეუდგენ მუხიანიდან საჩინოს საზღვრამდი შარა გზის მოკირწყვლას, რომ გაზაფხულიდან ავტომობილებმა თავისუფლათ იარონ.

— მარკოზ სანებლიძემ მოხერხებით ტორღში დაირჩინა „საწურბლიის ქალა“ და შეუდგა იქიდან გლეხების გაძევებას. ამ რიგათ საყვარელიძის და მესხის რაზმს თან და თან ემატება.

ს. პატრიკეთი. შედგა წრე, რომლის მიზანია მოაწყოს სისტემატიურათ ქალების მოტაცება.

ს. ბაში. ბანკის ადგილების ლალა ერთი სამათ გაადიდეს, რომ ბინაზღურონ „ნაიმასქნარი“ ფული.

ს. ქვიტირი. აქაურმა სკოლამ 6 თებერვალს გადიხადა აკაკის იუბილეი, რადგან სიშორის გამო ვერ მიუსწრო მუხიანში დღესასწაულს.

ს. მესხეთი. აქაური მასწავლებელი კი როცა ნადირობას მორჩება, მერე შეუდგება ბავშვების მზადებას.

ს. ბაკის უბანი. მღვდელი მ. მესხი დრამის ფულს ქუთაისში გადასახლებულებსაც თხოვს. ასე ამბობს; ეს სულის ბეგარა, სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან უნდა გადამიხადოთო.

მუხიანი. მღ. წიძრიძე მამასახლისმა ს. ოფშქვეთიდან მუხიანში გადმოასახლა სამხედრო წესების მოხსნამდი.

— მუხიანის დაბათ გადაკეთებამდი სადგურის რამდენიმე მოსამსახურე ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან.

ს. საყულია. ადგილობრივი მიკიტნები ახლო მომავალში საერთო სამიკიტნოს ხსნიან, რომ კარტის თამაში და მუშტი კრივი კაი ღვინოებს სმით და კეტობიათ შეცვალონ. ნარდის თამაშის მონოპოლიას ისევ მეაფთიაქეს უტოვებენ.

სალი,

ყურ-მოკრული საუბარი.

სიმონი. გამარჯობა თედორე!

თედორე. სიმონს ღმერთმა გაუმარჯოს.

სიმონი. ცოლშვილი ნუ გაგიწყდება მითხარი: იყავი მუხიანში რაცხა უბულეი რომ გადუხდიეს?

თედორე. რავა გამიწყრებოდა ღმერთი და წევიდოდი. იქინეი რომ ამბავი ყოფილა, იმისთანა შენს მტერს, ჩემო სიმონ!

სიმონი. რა იყო კაცო ამისთანა?

თედორე. მე ქე მოგახსენე, შენი ჭირიმე, არ ვყოფილვარ·თქვა, მარა ამბავს კი ძაანს ანბობენ.

სიმონი. რას უნბობენ კაცო მითხარი თვარა სული ამოვიდა კისერში!

თედორე. არაფრის თქმა არ შემიძლია, შენ არ მომიკვტე, სიმართლე რომ გითხრა მეშინია, გამიგებენ ი დალუპულები და რავაც ერთს ჩაამტვრიეს კბილები, მეც ისე მიზამენ.—აი აგერ მოდის ბესოიი, ის ქე იყო იქინე და ყოლისფერს იტყვის. (ბესოიი მოვა და გამარჯობას ეტყვის მათ).

სიმონი. ბესოია ცოლშვილი ნუ მოგიკვდება მითხრი მუხიანში უბულეიზე რა ამბავი იყო?

ბესოია. ახლავე მოგახსენებ შენი ჭირიმე. პირველ დეკემბერს გამოგვიცხანდეს მუხიანში აკაკის უბულეი უნდა გადვიხადოთ და დაგვესწარით სუყველამო. მე ჩვენი კანცელარიის მწერალი აკაკიი მეგონა და ვთქვი ჩემთვის გუნებაში: მუხიანში კი არა, იმისთვის არც ქე შევინძრევი სული რომ ამომძვრეს თქვა. იმ საღამოს სახედარში ვიყავი; ორი ყმაწვილი ერთმანეთს ეუბნებოდენ აკაკისთანა წერალი დუნიაზე არააო. მე ველარ მოვითმინე და ვუთხარი ყე: „ისე ღმერთი უშველის იმას, ის კაი კაცი იყოს-თქვა. ღმერთმა შემარცხვინოს თუ იმას ჩვენი მიხაკო წერალი არ ჯობდეს-თქვა“. ერთი მომიბრუნდა და მითხრა, შენ ჩემო მამა, როგორც ჩანს არ იცი რომელ აკაკიზე ვლაპარაკობთო. მე ვკითხე რომელზე თქვა; მან მითხრა აკაკი წერეთელზეო. მაშვინ მივხვდი, ვინც ყოფილა და გავჩუმდი.

სიმონი. რაფერ მიხვთი მერე ვინ იყო აკაკი?

ბესოია. რაფერ·და ჩემი ბალანეი ერთხელ წიგნში ლექსებს კითხულობდა და როცა ვკითხე ვინ დაწერა მაგ ლექსები თქვა, მიპასუხა აკაკი წერეთელმაო. სამტრიდან რო წამოველთ გზაში ერთი კაცი ლაპარაკობდა: „არ გაბრიყვდეთ და არ წამოხვიდეთ. იქინეი „ცოციალისტები“ იქნებიან და პოლიცია ყველას დაგიჭერთო. იგენს უნდათ ღმერთზე და რჯულზე ხელი აგალებინონო“. მე ეს ქე გევიგონე, მარა

ყური არ ვათხუე, ვთქვი [illegible] უნდა [illegible]ნეს თუ არ გავიგე რაფერია ეს უბულეი თავი რათ მინდა თქვა. მათიი, პეტრიე, ლავრენტიი, კოსტიი და სხვები შეშინდენ და არ წამოვიდენ. მე დანიშნულ ვადაზე მოვედი მუხიანში. ხალხი ბლომათ იყო. მერე ერმა კაცმა, რომელსაც „პროსიდატელს“ უძახოდენ თქვა ვინაა აკაკი, რა ხელობის კაცი იყო და რისთვის მოვსულვართ დღეს ჩვენო; ყველა ლამაზათ ჩააქიკქიკა. მეორემ აკაკის სახელზე „პიპლიოთეკა“ დავაარსოთო და სუყველას შეეძლება წაიკითხოს გაზეთები და წიგნებიო. ერთი მითხარი თუ ღმერთი გწამს გაზეთის კითხვას რა სჯობია, ერთს მინუტს გეიგება სად რა მოხდა. შემდეგ ბოვშებმა აკაკის ლექსები ჩააქიკქიკეს და ბევრიც გვაცინეს. კრების დახურვამდი მესამე კაცმა გვითხრა რადგან ბევრი ვართ აქ, ვითხოვოთ სტანციის დიდათ გადაკეთება და შემდეგ ფოშტათ იქნებაო. თუ სტანცია გადაგვიკეთეს ვაჭრობა გადიდდებაო. მეოთხემ გვირჩია პროგიმნაზია ვითხოვოთო და შვილებს აქ უფრო ადვილათ გაზდითო. ამან ყველაზე უფრო გაგვახარა. ეგი იცოცხლე შენ და მეც, სუყველას მოეწონა და თქვეს, რომ თხოვნა დავწეროთო და ხელს მოვაწეროთო. მართლა ყველამ ხელი მოვაწერეთ. ვინ იტყოდა უარს, დარჩა ერთი მაღალი კაცი, რომელიც დილიდანვე უბღვერდა კურო მოზვერივითი «პროსიდატელს», რომ უთხრეს ხელი მოაწერეო, მოკიდა ხელი თხოვნას და თქვა: ამისთანა სისულელეს ხელს რავა მოვაწეროო და შიგ გვესროლა თხოვნა თავში, მერე მოდგა „პროსიდატელს“ და რა არ უძახა შე მაშენიკო, ახლავეთ ჟანდრებს დავაჭერიებ შენ თავსო და ერთიც მუშტი უთავაზა, რის გამო როგორც შენც გეცოდინება სასამართლო შედგება მალე. აი ჩემო სიმონ ასე ჩაგვამწარა ის დღე ს—ს უჩიტელმა და შენ გკითხავ ახლა რა უნდა ასწავლოს ამისთანა უჩიტელმა ბოვშებს.

სიმონი. რაი ჩემო ბესო და მუშტი-კრივი, სხვა მას არაფერი მოეთხოვება.

თედორე. სწორეთ-სწორეთ.

გლეხი ნიკოიეი.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ექიმთან.

ახალგაზდა მოხელე დაბრუნდა სახლში სალამოს მუშაობიდან. ოთახში ბნელა. ის შევიდა საწოლ ოთახში.

— ჟან! ვკვდები!—მოისმა ცოლის კვნესა.

— რა დაგემართა?

— ექიმი ჩქარა, ჟან, ვკვდები!

მოხელე გავარდა დერეფანში საჩქაროთ გადაიცვა პალტო და გაიქცა ექიმთან.

— რა გნებავთ? შეეკითხა ექიმი.

— ცოლმა მითხრა ვკვდებიო და რა დაემართა არ ვიცი.

— რით არის ავათ? რა ნიშნებია?

— აბა, რა ვიცი ექიმო?

— სირცხვილია, მედიკმა, არ იცოდეთ ავათმყოფობის პირველი ნიშნები.

— აბა, სადაური მედიკი, ვარ... მოხელემ დაიხედა ტანისამოსზე და გაშრა. მას მედიცინის სტუდენტის პალტო ეცვა.

— დიახ,... დიახ! ექიმო... თქვენ მართალი ხართ მე გავიგე! გავიგე რით ყოფილა ჩემი ცოლი ავათ.

ის გიჟივით გაქანდა სახლისაკენ.

—

ხვალ მოგახსენებთ.

პოლკის უფროსმა, რომელიც სასტიკათ სდევნიდა სალდათებს, რომ არ დამთვრალიყვნენ, გამოუცხადა მათ, რომ ვინც დაითვრებოდა მეორე დღეს უეჭველათ უნდა მოეხსენებია მისთვის.

ერთ მშვენიერ დღეს გამოცხადდა მის წინაშე მთვრალი სალდათი და მოახსენა:

— მაქვს პატივი, მოგახსენოთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ, რომ მე გუშინ დავთვერი.

— შე საძაგელო, შენ ეხლაც მთვრალი ხარ.

— დიახ, აგრეა, მაგრამ ამის შესახებ ხვალ მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ!

—

შესაფერი პასუხი.

ღვინისაგან გაქდენთილ სალდათს უჯავრდება აფიცერი.

— აი შე მხეცო! როგორ გაბედე დათრობა?

— არ ვიცი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— შე ვირო, შენა, დალიე, არ გიშლი, მარა ჭკუას ნუ დაკარგავ. აბა შეხედე შენს თავს, რას გევხარ! ღორი ხარ, ნამდვილი ღორი!

— უკაცრავათ თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— უკაცრავათ? მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა დათრობა. დაგამწყვდევ და მერე კი გადაეჩვევი სმას. ყველა სვამს, მარა ასე არავინ იქცევა...

— არ ვიცი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— აი მაგალითი, შე საძაგელო, მეც ხომ ვსვამ, მარა მნახე როდისმე ასე, როგორც ეხლა შენა ხარ?

— დიახ, აგრე თქვენო მაღალკეთილშობილებ.

— რატომ მერე?

— არ ვიცი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— არა, სთქვი!

— ხშირათ თვრებით და იმიტომ.

— სულელი! ჩემი მადლობელი უნდა იყო, თორემ სხვა, ამდენხანს ჯარში გაგზავნიდა. საინტერესო იყო გამეგო რას იტყოდი მე რომ სალდათი ყვოფილიყავი და შენ ჩემი აფიცერი და ასე, შენსავით დავმთვრალიყავი?

— მე თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ასეთ ღორს არც კი დაველაპარაკებოდი.

—

სასამართლოში

— მახარობლიძე! თქვენ გაბრალებენ, რომ პალტო მოგიპარავთ. გაქვთ რამე სათქმელი?

— კი ბატონო! ღმერთო კი მომკალი, თავი მომჭრეს ქურდობას მაბრალებენ და ნურაფერს ვიტყვი? აქ ქურდობა კი არა უბრალო შეცდომა მოხდა. ის კოვზები, ძლიერ გავდენ ჩემს კოვზებს...

— კაცო, რას ამბობ? რა კოვზები? რის კოვზები? შენ გაბრალებენ პალტოს მოპარვას კოვზები აქ რა შუაშია?

— ოჰ! უკაცრავათ, ბატონო მოსამართლევ, „რეჩები“ ამერია. ეს „რეჩი“, კოვზების შესახებ ხვალ უნდა მეთქვა მეოთხე, მომრიგებელ მოსამართლესთან...

—

დეპეშა.

ტელეგრაფის განყოფილებაში მიდის კოხტათ გამოწყობილი ქვრივი.

— გთხოვთ მიიღოთ დეპეშა და ფულები...

ტელეგრაფისტი კითხულობს: „საყვარელო ილია, სასოწარკვეთილებაში ვარ, ჩემი საყვარელი ქმარი გარდაიცვალა მისმა სიკვდილმა თავზარი დამცა. არ ვიცი რა ვქნა...“ და სხვა.

— ქალბატონო ეს დეპეშა ბევრი დაგიჯდებათ, არ შეიძლება შეამოკლოთ? დასწერეთ რაც ყველაზე უფრო საჭიროა.

— კარგი. მაშ ასე იყოს: „ილია! მე ქვრივი ვარ მოდი. გკოცნი“.

ა გ ე ნ ტ ი.

თუმცა ვიყავ მშიერი
წარსულ წელსა, სხუმისა,
წრეულს გავხდი აგენტი,
„გოროდსკოი ღუმისა!“
როგორც კატამ თაგვები,
დაიჭიროს ბრეყალითა
ისე მედუქნეები,
დავიჭირე ძალითა!
ყველა ჩემი ნებაა,
ვატირო თუ ვაცინო,
ვერაფერს მიბედავენ,
პირშიდაც რომ ვაგინო!
ფულები არ მაკლია,
მადაცა მაქვს ჭამისა,
საიდან დამაკლდება,
იცით ძალა ქრთამისა!?
რომელიც ქრთამს არ მამცემს,
დაუკეტავ დუქანსა,
ვიცი მისი შედეგი,
(ღორს მოიტანს სუქანსა!)
ასე ამხანაგებო,
ვცხოვრობ უდარდელათა,
ქალაქი ჩემ ხელში ვით
ძროხა მოსაწველათა!
მაშ არა და სირცხვილით
ამოვირთმევ სულსა მე,
არავინ მეცოდება,
ვფიცავ ღმერთსა, რჯულსა მე!
მაგრ[illegible]ი რა გითხრათ,
რომ ვფიქრობ ხან-და-ხანა,
მუდამ თვალ წინ მიდგია,
ტერორი და „ნაგანა“!..

შმაგა.

აპროსტიხი.

ოდიში სულ შეიძულა,
დირექცია შეიყვარა;
ის, რაც წმინდა, კეთილია,
შავ ბირვით შეიზარა.
ამხანაგებს, კორპორანტებს
რალაც ეჭვით უწყო ცქერა,
იუდუშკამ ფლიდათ იწყო
ამღვრეულ წყლით თევზის ჭერა.

სლამურის ფოსტა.

გათუმი. მესაათეს. რგდაქცია ვერას მამაოჩვენობით ვერ დაიჯერებს, რომ თქვენ მართლა მესაათე ბრძანდებით. ხოლო თუ ეს მართალია და დროს გარჩევა-დაფასება კი შეგიძლიათ რატომ ჰკარგავთ თქვე დალოცვილო ამდენ დროს ასეთი სისულელის დაწერაზე, როგორიც თქვენი ლექსი?

ფოთი. მგოსანს. „გაზაფხული მოახლოვდა
ტყე ძალიან აგვიმწვანდა
ტყემალი ხომც აყვავილდა
ჟუჟუნა წვიმა დანამდა“

მოგახსენებთ ბ-ნო „მგოსანო“, რომ თქვენს მუზას ვერც გაზაფხულის მოახლოვება უშველის, ვერც ტყის ამწვანება, ვერც ჟუჟუნა წვიმა და წარმოიდგინეთ ვერც ტყემლიანი ტარანა! იწამეთ ღმერთი, (თუ ეშმაკი არა გწამთ!) და ნუღა გვაწვალებთ თქვენი მგოსნური დადმფრენით.

ბიათურა. ულმობელს. იწერებით: «სისხლს დავღვრი, სისხლი მწყურია, სისხლით გავიბან გულმკერდსა, სისხლითა მოვრწყავ მთა და ბარსა» და სხვა და სხვა და სხვა.

ულმობელი კი ყოფილხართ, მაგრამ ამდენი სისხლი აბა სად გიშოვნიათ? გაგვიგონია ბიათურაში წყალიც ჩინებულია, ღვინოცაო და თქვენ რაღა მაინცა და მაინც სისხლი მოგწყურდათ. ინებეთ ცივი წყალი უფრო მოგიხდებათ.

ხონი. სპარტაკს. ვერ გავიგეთ თქვენი ნაწარმოები მართლაც „რომანია“ თუ სამედიატორო სასამართლოს დადგენილება.

გორი. კრუას. ჩვენ კი ვიცით, რომ ზემო ქართლში მტკვრის პირად სძევს ქალაქი გორი, მაგრამ გორში არ იციან, რომ ქალაქ თფილისში გამოდის ქართული ჟურნალ-გაზეთები. ურიგო არ იქნება თქვენ თუ ამას გააგებიებთ გორელებს.

სადმე. ავ-ყიას. ეშმაკი გითვლისთ, რომ მან „სიამოვნებით წაიკითხა“ და მოიწონა თქვენ მიერ ახლად გამოგონებული სიტყვა „ჩაუმარჯვენდეპუტატა“. მართალია სიტყვა ესე ძნელი გამოსათქმელია მაგრამ იმას მაინც სჯობია რასაც მისი შინაარსი გამოხატავს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3. გამომცემელი თ. ბოლძოაძე